შპს ნეთვრიქს ჯორჯია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება **4**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება **5**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება **6**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 7
2. მომზადების საფუძვლები 7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 8
4. შემოსავალი 8
5. თანამშრომელთა ხელფასი 8
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 8
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 9
8. მიღებული სესხი 9
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 10
10. პირობითი ვალდებულებები 10
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 11
12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 11

შპს ნეთვრიქს ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	**2024**
შემოსავალი	4	2,768,188
საერთო მოგება		**2,768,188**
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	5	(2,511,429)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(119,346)
საოპერაციო მოგება		**(2,630,774)**
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ხარჯი		(5,734)
მოგება დაბეგვრამდე		**131,680**
პერიოდის წმინდა მოგება		**131,680**

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 17 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი _____ ჯეიკობ გორმან იავილი

შპს ნეთვრიქს ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	**2024**
შემოსავალი	4	2,768,188
საერთო მოგება		**2,768,188**
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	5	(2,511,429)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(119,346)
საოპერაციო მოგება		**(2,630,774)**
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ხარჯი		(5,734)
მოგება დაბეგვრამდე		**131,680**
პერიოდის წმინდა მოგება		**131,680**

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 17 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი _____ ჯეიკობ გორმან იავილი

6-12 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ნეთვრიქს ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	**31 დეკემბერი 2024**
მოკლევადიანი აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2,779,004
		2,779,004
სულ აქტივები		**2,779,004**
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
დაგროვილი მოგება		131,680
		131,680
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8	2,616,341
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	30,984
		2,647,325
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**2,779,004**

6-17 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**	**-**	**-**
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	-	**-**
დივიდენდები	-	-	**-**
წლის მთლიანი სრული მოგება	-	131,680	**131,680**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**	**131,680**	**131,680**

6-17 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ნეთვრიქს ჯორჯია არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2024 წლის აპრილში. კომპანია რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ, შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. აბაშიძის ქ., N34, ბლოკი 1, კომერციული ფართი Nა-3. საიდენტიფიკაციო ნომრით: 405700040.

შპს ნეთვრიქს ჯორჯია არის IT კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების და მონაცემთა მმართველობის გადაწყვეტილებებს. კომპანია ეხმარება ორგანიზაციებს სენსიტიური მონაცემების დაცვაში, კიბერშეტევების რისკების შემცირებაში და უსაფრთხოების ინციდენტებზე სწრაფ რეაგირებაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგია:

მფლობელები	**31 დეკემბერი 2024**
Netwrix UK Limited, 07929186 /აშშ/	100%

კომპანიის დირექტორთა საბჭო:

- ჯეიკობ გორმან იავილი, 598676550 /აშშ/ ,ერთპიროვნული
- სტივ მარკ დიქსონი, 567489866 /აშშ/ ,ერთპიროვნული
- ანტონი ვილიამ ჩინი, 675938270 /აშშ/ ,ერთპიროვნული

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. აღნიშნული წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-12 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია თვლის, რომ ფინანსური აქტივი დეფოლტურია, როდესაც სახელშეკრულებო გადასახდელი 365 დღეზე მეტ ვადაგადაცილებაშია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შესაძლებელია აქტივი დეფოლტურად მაშინაც ჩათვალოს, როდესაც შიდა და გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ სავარაუდოა, კომპანიამ ვერ მიიღოს დასაფარი სახელშეკრულებო თანხები.

4. შემოსავალი

შემოსავალი წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024
მომსახურების გაწევიდან	2,768,188
	2,768,188

5. თანამშრომელთა ხელფასი

თანამშრომელთა ხელფასები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024
ხელფასი	(2,454,634)
სხვა ხარჯები	(56,794)
	(2,511,429)

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024
საკონსულტაციო ხარჯი	(90,456)
სხვა საერთო ხარჯები	(28,889)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	**(119,346)**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024
ფინანსური მოთხოვნები	
სავაჭრო მოთხოვნები	2,768,188
სხვა მოთხოვნები	10,816
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2,779,004**

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს დედა კომპანიის მიმართ არსებულ თანხებს, რომლებიც წარმოიშვა კომპანიის საქმიანობის შედეგად განხორციელებული რეგულარული ბიზნეს ოპერაციებიდან.

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
მიმდინარე	484,810	0%	
ვადაგადაცილება 31-60	421,873	0%	-
ვადაგადაცილება 61-90	406,383	0%	-
ვადაგადაცილება 91-180	1,465,939	0%	-
მოთხოვნები გაუფასურებამდე	**2,779,004**		**-**
გაუფასურების რეზერვი	-		
წმინდა მოთხოვნები	**2,779,004**		

8. მიღებული სესხი

მიღებული სესხი წარმოდგენილია შემდეგნაირად

	2024
მოკლევადიანი ნაწილი	2,616,341
	2,616,341

ფინანსური ვალდებულების რეკონსილაცია

კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი, ნომინირებული ევროში, 0%-იანი წლიური სარგებლის განაკვეთით, დაფარვის ვადები განსაზღვრულია 2025 წლის 1 იანვრამდე. მენეჯმენტს სჯერა, რომ გამსესხებელი არ მოითხოვს სესხის დაუყონებლივ დაბრუნებას. ფინანსური ვალდებულების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024
ნაშთი 1 იანვრისთვის	-
ფულადი მუხლები	
სესხის მიღება	(2,644,609)
ძირის გადახდა	-
პროცენტის გადახდა	-
არაფულადი მუხლები	
საპროცენტო ხარჯი, წარდგენილი მოგება ან ზარალში	-
გადაფასება	28,268
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	
	(2,616,341)

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31 დეკემბერი 2024
ფინანსური ვალდებულებები	
სავაჭრო ვალდებულებები	30,984
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**30,984**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს მესამე მხარის მიმართ არსებულ გადასახდელ თანხებს, რომლებიც წარმოიშვება კომპანიის საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული რეგულარული ბიზნეს ოპერაციებიდან.

10. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

გადასახადებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ოდენობის სანდოდ განსაზღვრა შესაძლებელია. სადეპოზიტო თანხა არ აღიარება ისეთ საკამათო საგადასახადო საკითხებზე, რომელთა დასაბეგრი ოდენობის სანდოდ განსაზღვრა ვერ ხერხდება. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით, დამატებითი ვალდებულებების დარიცხვა არ მოხდება, გარდა იმ თანხებისა, რომლებიც კომპანიამ უკვე ასახა შესაბამის პერიოდებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება ამ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	**ევრო**
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8068	2.9306

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან. ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელთა ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება მიღებული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების საწყისი აღიარებისა და შეფასების ცვლილების ეფექტი აისახება კაპიტალში, როგორც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების შედეგი.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება

12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.